

დაგროვებითი საპენსიო სისტემის გავლენა ქვეყნის ფინანსურ და  
ეკონომიკურ კეთილდღეობაზე

თამუნა გიორგობიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
საბანკო და საფინანსო საქმეში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების  
შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა გიორგობიანი

22.06.2022

## აბსტრაქტი

დაგროვებითი საპენსიო რეფორმა საქართველოსთვის ახალი გამოწვევაა, რომლის მიზანი საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფაა. სისტემის მთავარი გამოწვევა ინფლაციის გათვალისწინებით დადებითი რეალური შემოსავლის მიღება და ჩანაცვლების კოეფიციენტის გაზრდილი მაჩვენებლის მიღწევაა გრძელვადიან პერიოდში. კვლევის ეტაპზე შესწავლილი საკითხებიდან გამომდინარე სისტემას აქვს პერსპექტივა უზრუნველყოს მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდის დაჩქარება და შესაბამისად ეკონომიკური ზრდას შეუწყოს ხელი. სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სისტემის გამართულად ფუნქციონირების შემთხვევაში ქვეყანაში შეიქმნდება გრძელვადიანი ლარის რესურსს, რაც თავის მხრივ ფინანსური ბაზრის განვითარების საწინდარია. მნიშვნელოვანია რისკებისაგან დაცვის მექანიზმის შემუშავება როგორცაა საინვესტიციო მანდატი და მაქსიმალური ამონაგებზე ორიანტირება მინიმალური რისკის გაწევით.

კვლევის ეტაპზე საკითხის ირგვლივ მოძიებული და დამუშავებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. კვლევა აერთიანებს დაგროვებითი საპენსიო სისტემის, კერძოდ განსაზღვრული შენატანების საპენსიო სისტემის მახასიათებლებს, მსოფლიოში წამყვანი ორგანიზაციებისა და მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებიდან მიღებულ ინფორმაციასა და საქართველოში სისტემის ფუნქციონირების დეტალებს.

ქვეყნის საპენსიოს სისტემის მეორე სვეტი - სავალდებულო დაგროვებითი პენსია გამართულად ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და საქართველოს აქვს პერსპექტივა გაითვალისწინოს წარმატებული ქვეყნების გამოცდილება. მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები და სისტემის ფუნქციონირების გამართულობა დადებით მოლოდინებს ქმნის. საგულისხმოა სისტემის დანერგვით გამოწვეული შესაძლო რისკები, რომელიც საქართველოს ფინანსური ბაზრის სისუსტითა და მოსახლეობის დაბალი შემოსავლის რაოდენობით არის გამოწვეული.

ჩატარებული კვლევა განიხილავს საპენსიო სისტემის მოსალოდნელ შედეგებს და არსებულ მდგომარეობას. ნაშრომში გაერთიანებულია საკითხის ირგვლივ არსებული მნიშვნელოვანი კვლევები და სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სარწმუნოს ხდის კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს.

საკვანძო სიტყვები : სავალდებულო დაგროვებითი პენსია, ჩანაცვლების კოეფიციენტი, განსაზღვრული შენატანების საპენსიო სისტემა, საპენსიო ინდექსი.

## **Abstract**

Accumulative pension reform is a new challenge for Georgia, the goal of system is to provide a adequate income for the population of retirement age. The main challenge of the system is to achieve a positive real income adjusted for inflation and an increased rate of replacement in the long term. Based on the issues studied at the research stage, the system has a perspective to ensure the acceleration of the average growth of the gross domestic product and thus promote economic growth. In case of the proper functioning of the mandatory cumulative pension system, a long-term resource of GEL will be created in the country, which in turn is a precursor to the development of the financial market. It is important to develop a risk protection mechanism, such as an investment mandate and focus on maximum gains with minimum risk.

At the research stage, the information found and processed around the issue allows to draw important conclusions. The study combines the characteristics of the cumulative pension system, namely the defined contribution pension system, the information obtained from the results of research conducted by the world's leading organizations and scientists, and the details of the functioning of the system in Georgia.

The second pillar of the country's pension system - the mandatory accumulated pension - functions properly in many countries of the world, and Georgia has the perspective to take into account the experience of successful countries. The current statistical data and the smooth functioning of the system create positive expectations. The possible risks caused by the introduction of the system are significant, which is caused by the weakness of the financial market of Georgia and the low income of the population.

The conducted research examines the expected results and the current situation of the pension system. The paper combines important studies and statistical data surrounding the issue, which make the conclusions obtained as a result of the study credible.

**Key words: mandatory cumulative pension, replacement rate, defined contribution pension system, pension index**